თბილისის ოსტატების ბრწყინვალე გამარჯვება

ფეხბურთის მოყვარული თბილისის საზოგადოებრივობა გაფაციცებით ემზადებოდა 12 ივნისისათვის. ამ დღეს – "სსრ კავშირის თასის" გათამაშების მეოთხე წრეში – ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ თბილისის ორი უძლიერესი კოლექტივი – "დინამო" (ოსტატები) და "ლოკომოტივი". მატჩი დიდ სპორტულ ინტერესს იწვევდა და სწორედ ამიტომ იყო, რომ ამხანაგ ლ. ბერიას სახელობის სტადიონზე ადრიანად დაიწყო ხალხმა დენა და მატჩის დაწყებისათვის უკვე 25 ათასზე მეტი მაყურებელი მოგროვდა. აქა-იქ "მშვიდობიან" მაყურებელთა შორის ჩამჯდარი ფეხბურთის "ბოლელშჩიკები" გაცხოველებით კამათობდნენ და წინასწარ ასაბუთებდნენ მომავალი შეხვედრის შედეგს.

– შენის აზრით ვინ გაიმარჯვებს? – ყოველი მხრიდან ისმოდა ცნობისმოყვარეთა შეკითხვები.

– გაუჭირდებათ, მაგრამ მაინც ოსტატები გაიმარჯვებენ – "ავტორიტეტულად" ასკვნიდნენ "ბოლელშჩიკები".

მსაჯის ნიშანზე ორივე გუნდი თავის ძირითად, საბრძოლო შემადგენლობით გამორბის მოედანზე. თბილისის ორი უძლიერესი კოლექტივი დაუდგა პირისპირ ერთმანეთს. ორთავე გუნდმა "სსრ კავშირის თასის" გათამაშების სამი წრე საუკეთესო შედეგებით დაამთავრა და ამ საპასუხისმგებლო მატჩებში გამარჯვებით გარკვეულად დაამტკიცა თამაშის მაღალი ტექნიკა, გამოიმუშავა სწორი, შეუნელებელი თავდასხმის ტაქტიკა და დასრულებული გამძლეობა.

ოსტატებისა და "ლოკომოტივის" გუნდების ეს შეხვედრა ანგარიშით მესამეა მიმდინარე წელს. პირველი ორი ამხანაგური შეხვედრა ჩატარდა თებერვალში: 12 თებერვალს ამხანაგური მატჩი ოსტატების ადვილი გამარჯვებით (4:1) დამთავრდა. 24 თებერვლის "სარევანშო" ამხანაგური შეხვედრისათვის "ლოკომოტივმა" მოთამაშეთა ნაწილობრივი გადაჯგუფება მოახდინა და დაძაბული ბრძოლის შემდეგ მატჩი მცირე უპირატესობით (2:1) დათმო. ამ შეხვედრების შემდეგ "ლოკომოტივის" კოლექტივი როგორც თამაშის ტექნიკისა და ტაქტიკის, ისე გამძლეობის მხრივ საგრძნობლად გაიზარდა და მესამე, უკვე კალენდარულ მატჩს ოსტატებთან – სრულ სპორტულ ფორმაში შეხვდა.

6 საათსა და 5 წუთზე დაიწყო თამაში. ვფიქრობდით, რომ "ლოკომოტივის" კოლექტივი მისთვის დამახასიათებელ თამაშის თავბრუდამხვევ ტემპს შესთავაზებდა მოწინააღმდეგეს და ამით გაუთანაბრებდა თავის რამდენიმედ საყოყმანო შესაძლებლობებს ბურთზე დაუფლებულ ოსტატთა "მრისხანე ძალას". მხოლოდ თამაშის ეს ტაქტიკა შეიძლებოდა წარმატებით დაგვირგვინებულიყო და თუ მოგება არა, შეხვედრის მცირე უპირატესობით დათმობა უზრუნველყოფილი იქნებოდა და ისიც – ოსტატების მხრივ დაძაბული თამაშის პირობებში. წინასწარი მოსაზრება ასეთი იყო, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა.

"ლოკომოტივმა" ტაქტიკური შეცდომები დაუშვა, მათ, გარდა იმისა, რომ თვით არ შესთავაზეს მოწინააღმდეგეს თამაშის ცხოველი ტემპი, ოსტატების ცალკე თავდამსხმელთა "დახურვით", რასთანაც საკმაოდ იყო "შეზავებული" დაუშვებელი უხეშობაც – ძირითადად თავდაცვაზე გადავიდნენ და შეხვედრის ბოლომდე გაიყოლიეს თამაშის ეს გაუმართლებელი ტაქტიკა. სწორედ ამით აიხსნება თამაშის შედეგიც – "ლოკომოტიველთა" სრული დარბევა (4:0).

ოსტატებმა პირიქით, თავიდანვე მოფიქრებულად დაიწყეს თამაში. პირველი წუთებიდანვე განავითარეს შეტევის სწრაფი ტემპი (რასაც ყოველმხრივ ხელს უწყობდა მოწინააღმდეგის პასიურობა) და იგი ბოლომდე ოსტატურად შეინარჩუნეს.

"ლოკომოტიველთა" "მზრუნველობით" მუდამ გარსშემორტყმული პაიჭაძე (ოსტატების თავდამსხმელთა ცენტრი) ორჯერ დაუსხლტა ხელიდან თავის "გადიებს" და ორივეჯერ მძლავრად დარტყმულმა ბურთმა დაარხია "ლოკომოტივის" კარებზე წამოსხმული ბადე. პირველად – მცველთაგან ოსტატურად "დამძვრალი" პაიჭაძე "მკვდარ" (აუღებელ) კუთხურ ბურთს აგზავნის კარებში, რომელსაც სწრაფი ნახტომით უწვება "ლოკომოტივის" მაკარე შუდრა და წვდება კიდეც ხელის თითებით, მაგრამ საჯარიმო მოედანზე გადმოსროლილ ბურთს ელვის სისწრაფით მიეჭრება მ. ბერძენიშვილი და მძლავრი დარტყმით ატარებს კარებში.

მეორე მომენტსაც ფეხბურთის შეუდარებელი ოსტატი პაიჭაძე ქმნის. საჯარიმო მოედანზე შემდგარი, იგი კვლავ უსხლტება მცველებს და მეკარესთან პირისპირ დარჩენილი ის-ის არის ბურთის გაგზავნას აპირებს, რომ ფეხგამოდებული თავდაყირას გადადის. 11 მეტრიან თავისუფალ საჯარიმო დარტყმიდან პენალტების ოსტატი – მ. ბერძენიშვილი მეორე ბურთით არღვევს "ლოკომოტივის" კარებს. პირველი ტაიმი თავდება ანგარიშით 2:0 ოსტატების სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში განსაკუთრებით ოსტატების გარემარბთა – გავაშელისა და სომოვის დებიუტია აღსანიშნავი. ისინი (პირველად გავაშელი და თამაშის დასასრულს – სომოვი), ცენტრიდან ელვის სისწრაფით გატაცებული ბურთით მოხერხებულად უსხლტებიან წინშემოხვედრილ რამდენიმე მოწინააღმდეგეს და კიდევ ორ ახალ ბურთს ატარებენ "ლოკომოტივის" კარებში. ანგარიში 4:0 თამაშის ბოლომდე არ შეცვლილა.

ამ მატჩში, ოსტატთა მთელი კოლექტივის შეხმატკბილებულ თამაშთან ერთად განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდა ოსტატის – გარემარბ გავაშელის მოხდენილი და ენერგიული თამაში.

"ლოკომოტიველთა" ამ დღის თამაში, ზემოთ დასახელებულ ტაქტიკურ შეცდომათა გამო, მათ შესაძლებლობაზე დაბლა იდგა. აღსანიშნავია მხოლოდ მცველ ვორონოვის ბეჯითი თამაში და განსაკუთრებით მეკარე შუდრასი, რომელმაც რამდენიმე "მკვდარი" ბურთიც კი ააცდინა კარებს.

მოსკოველმა მსაჯმა ამხ. შელჩკოვმა მთელი თამაში შეუცდომლად და დინჯად ჩაატარა.

საზოგადოებრიობა პენალტი.
"ახალგაზრდა კომუნისტი", 14 ივნისი, 1937 წ.